+

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2024 წლის_ _ თებერვალი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“–ს შექმნის, შემადგენლობისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N120 (გ-49.49213377) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საკრებულოს წევრის ავთანდილ გაბუნიას 2024 წლის 29 იანვრის N49-49240291 განცხადების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2024 წლის 1 თებერვლის სხდომის ოქმი N1-სა და იურიდიულ საკითხთა კომისიის დადებითი დასკვნის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“-ს შექმნის, შემადგენლობისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N120 (გ-49.49213377) განკარგულების პირველი პუნქტით შექმნილი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს შემადგენლობა 2024 წლის 30 იანვრიდან შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„თავმჯდომარე – ზურაბ ლექვინაძე.

მოადგილეები: გალაქტიონ ხარაბაძე, სალომე ჯიმშელეიშვილი, დავით ხიდეშელი.

წევრები: თენგიზ გოგელია, სოფიო ბოლქვაძე, რუსუდან მანაგაძე, ფიქრია ერემეიშვილი, ზურაბ იოსელიანი, ვასილ მხეცაძე, გელა ბურჯალიანი.“

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.ქუთაისი,კუპრაძის ქ.№11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — მაკა ჭელიძე

წერილის ნომერი:**49-49240291**
თარიღი: **29/01/2024**

ადრესატი:

ზურაბ ლექვინაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ფრაქციის
თავმჯდომარე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“
თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ლექვინაძეს
ამავე ფრაქციის წევრის ავთანდილ გაბუნიას

ბატონო ზურაბ,

გაცნობებთ, რომ ვტოვებ როგორც პარტია ,,ერთიან ნაციონალური მოძრაობას“ ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ ამავე სახელწოდების ფრაქციას.

გთხოვთ, მიიღოდ ცნობად. ვრჩები დამოუკიდებელ წევრად.

პატივისცემით,

ავთანდილ გაბუნია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი

წერილის ნომერი:**49-49240408**
თარიღი: **09/02/2024**

ადრესატი:

თეიმურაზი ჭეიშვილი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ, ფარქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2024 წლის 1 თებერვლის სხდომის ოქმს N 1.

გთხოვთ, შემდგომ რეაგირებას.

პატივისცემით,

ზურაბ ლექვინაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ფრაქციის თავმჯდომარე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

ფრაცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

ო ქ მ ი N 1

ქ. წყალტუბო 01.02.2024 წელი

2024 წლის 1 თებერვალს 14.00 სთ. შედგა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს“ სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ფრაქციის თავმჯდომარე ზურაბ ლექვინაძე. სხდომას ესწრებოდნენ: დავით ხიდეშელი, თენგიზ გოგელია, სოფიო ბოლქვაძე, რუსუდან მანაგაძე, ვასილ მხეცაძე, გალაქტიონ ხარაბაძე. არ ესწრებოდნენ: სალომე ჯიმშელეიშვილი, ფიქრია ერემეიშვილი,ზურაბ იოსელიანი და გელა ბურჯალიანი. ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო შემდეგი დღის წესრიგი:

1. ავთანდილ გაბუნიას განცხადების შესახებ

/მომხს. ზ. ლექვინაძე/

2. ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების (გათავისუფლების) შესახებ.

/მომხს: ზ. ლექვინაძე/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული დღის წესრიგი.
კენჭი ეყარა:
მომხრე – 7
წინააღმდეგი – 0
აღნიშნული დღის წესრიგი მიღებულ იქნა ერთხმად.

1. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: ავთანდილ გაბუნიას განცხადების შესახებ

/მომხს. ზ. ლექვინაძე/

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ფრაქციის წევრებს არ გამოუთქვამთ რაიმე შენიშვნები

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.
კენჭი ეყარა:
მომხრე – 7
წინააღმდეგი – 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დაკმაყოფილდეს ავთანდილ გაბუნიას განცხადება ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" ამორიცხვის შესახებ

2. **მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების (გათავისუფლების) შესახებ.

/მომხს. ზ. ლექვინაძე/

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ზურაბ ლექვინაძემ

ფრაქციის თავმჯდომარემ, ზურაბ ლექვინაძემ აღნიშნა, რომ ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ფრაქციის თავმჯდომარეს ყოველ სამ წევრზე ჰყავს ერთი მოადგილე, შესაბამისად ვინაიდან ავთანდილ გაბუნიამ დატოვა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ფრაქციის შემადგენლობაში დარჩა 11 წევრი, ამიტომაც მათ კანონისმიერი დანაწესიდან გამომდინარე არ აქვთ უფლება ჰყავდეთ 4 ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე (უნდა შემცირდეს ერთით). ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წესდების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტსი თანახმად ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის გადაყენიბისათვის აუცილებელია ფრაქციის თავმჯდომარის ან ფრაქციის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნა. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე გადაყენებულად ჩაითვლება თუ მის გადაყენებას მხარს დაუჭერს ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. ყოველივე აქედან გამომდინარე, ზურა ლექვინაძემ აღნიშნა, რომ რადგან კანონი მას ავალდებულებს, ის ფრაქციის წინაშე აყენებს საკითხს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის ფიქრია ერემეიშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. ამასთან მან დასძინა, რომ ქალბატონი ფიქრია დარჩება ფრაქციის რიგით წევრად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.
კენჭი ეყარა:
მომხრე – 7
წინააღმდეგი – 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე ფიქრია ერემეიშვილი 2024 წლის 30 იანვრიდან გადაყენებულ იქნეს ფრაციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

სხდომას სულ ესწრებოდა: 7 წევრი
ქალი: 2
მამაკაცი: 5

სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე

ზურაბ ლექვინაძე: